სს ელექტროენერგეტიკული სისტემის
კომერციული ოპერატორი

ფინანსური ანგარიშგება 2015 წლისათვის

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	9

შპს „KPMG Georgia“
ბესიკის ქ. №4, ბესიკის ბიზნეს ცენტრი,
მე-2 სართული
0108 თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995 322 93 5713
ფაქსი: +995 322 98 2276
ვებ-გვერდი:www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს “ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის”
აქციონერებს

ჩვენ მოვახდინეთ სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული შემოწმება: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება აღნიშნული წლისათვის, საბუღალტრო აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა და სხვა განმარტებითი შენიშვნები.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე და ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნაზე, რომელიც, ხელმძღვანელობის თვალსაზრისით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებულ არსებით უზუსტობებს.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა

ჩვენ ვალდებულნი ვართ, ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით, გამოვთქვათ მოსაზრება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები ჩვენგან მოითხოვს ეთიკის ნორმების დაცვას და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რათა მივიღოთ გონივრული რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოდგენილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. რისკის ამ შეფასებისას აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის არსებულ სისტემებს, რომლებიც ქმნის შესაბამის პირობებს ორგანიზაციის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აღნიშნულის მიზანს არ წარმოადგენს მოსაზრების გამოხატვა ორგანიზაციის შიდა

შპს KPMG Georgia,რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არის KPMG-ის ქსელის დამოუკიდებელი ფირმების წევრი, რომელიც ერთიანდება შვეიცარულ ორგანიზაციაში KPMG International Cooperative (“KPMG International”).

კონტროლის სისტემის ეფექტიანობაზე. აუდიტი ასევე მოიცავს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, სააღრიცხვო შეფასებების სისწორისა და მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

დასკვნა

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

KPMG Georgia LLC

შპს „KPMG Georgia"
11 აგვისტო 2016 წელი

შპს KPMG Georgia,რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არის KPMG-ის ქსელის დამოუკიდებელი ფირმების წევრი, რომელიც ერთიანდება შვეიცარულ ორგანიზაციაში KPMG International Cooperative ("KPMG International").

ლარი	შენიშვნა	**31** დეკემბერი **2015**	**31** დეკემბერი **2014**
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	172,787	202,815
არამატერიალური აქტივები		42,772	15,181
სხვა გრძელვადიანი აქტივები		5,332	4,395
გადავადებული საგადასახადო აქტივი	11	460,574	444,492
გრძელვადიანი აქტივები		**681,466**	**687,691**
მარაგები		7,781	6,134
მიმდინარე საგადასახადო აქტივები		436,664	436,664
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	41,786,272	22,989,213
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	14,380,352	12,297,188
მიმდინარე აქტივები		**56,611,069**	**35,729,199**
სულ აქტივები		**57,292,535**	**36,396,082**
კაპიტალი	14		
საწესდებო კაპიტალი		87,309	87,309
საწესდებო კაპიტალში არაფულადი შენატანების რეზერვი		(15,660)	(15,660)
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		97,231	106,124
გაუნაწილებელი მოგება		4,905,568	6,694,403
სულ კაპიტალი		**5,074,448**	**6,872,176**
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	52,218,087	29,523,906
მიმდინარე ვალდებულებები		**52,218,087**	**29,523,906**
სულ ვალდებულებები		**52,218,087**	**29,523,906**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**57,292,535**	**36,396,082**

ლარი	შენიშვნა	2015	2014
შემოსავალი	5	229,869,363	141,258,203
რეალიზებული საქონლის / გაწეული მომსახურების თვითღირებულება	5	(225,841,634)	(134,774,381)
სრული მოგება		**4,027,729**	**6,483,822**
სხვა შემოსავალი	6	207,239	159,197
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(4,016,116)	(3,714,101)
უიმედო ვალის ჩამოწერა		(121,294)	-
შედეგები საოპერაციო საქმიანობიდან		**97,558**	**2,928,918**
ფინანსური შემოსავალი	7	636,871	1,131,717
ფინანსური ხარჯები	7	(2,517,777)	(2,828,355)
წმინდა ფინანსური ხარჯი		**(1,880,906)**	**(1,696,638)**
(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე		**(1,783,348)**	**1,232,280**
მოგების გადასახადის შეღავათი (ხარჯი)	9	14,513	(12,936)
(ზარალი)/მოგება და სხვა სრული (ზარალი)/მოგება წლის განმავლობაში		**(1,768,835)**	**1,219,344**
სხვა სრული შემოსავალი			
ერთეულები, რომლებიც არასოდეს იქნება კლასიფიცირებული მოგებად ან ზარალად			
ძირითადი საშუალებების გადაფასება	10	(10,462)	-
ძირითადი საშუალებების გადაფასების გადავადებული გადასახადი		1,569	-
სხვა სრული შემოსავალი, მოგების გადასახადის გამოკლებით		**(8,893)**	**-**
სულ მოგება და სხვა სრული შემოსავალი		**(1,777,728)**	**1,219,344**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2016 წლის 11 აგვისტოს და მათი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

ვახტანგ ამბოკაძე
გენერალური დირექტორი

ხათუნა ჩგდუნელი
მთავარი ბუღალტერი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 9-36 გვერდებზე.

ლარი	საწესდებო კაპიტალი	არაფულადი შენატანის რეზერვი	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	87,309	(15,660)	106,124	5,475,059	5,652,832
სრული შემოსავალი წლის განმავლობაში					
მოგება წლის განმავლობაში	-	-	-	1,219,344	1,219,344
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**87,309**	**(15,660)**	**106,124**	**6,694,403**	**6,872,176**
ნაშთი 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	87,309	(15,660)	106,124	6,694,403	6,872,176
სრული შემოსავალი წლის განმავლობაში					
ზარალი წლის განმავლობაში	-	-	-	(1,788,835)	(1,788,835)
სრული ზარალი წლის განმავლობაში	-	-	-	**(1,788,835)**	**(1,788,835)**
გატარებები მფლობელებთან რომელიც აისახა კაპიტალში					
დივიდენდი	-	-	-	(20,000)	(20,000)
გადაფასებული აქტივების გაყიდვა	-	-	(8,893)	-	(8,893)
სრული გატარებები მფლობელებთან რომელიც აისახა კაპიტალში			**(8,893)**	**(20,000)**	**(28,893)**
სხვა სრული შემოსავალი	-	-	**(8,893)**	**(1,788,835)**	**(1,797,728)**
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**87,309**	**(15,660)**	**97,231**	**4,905,567**	**5,074,448**

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 9-36 გვერდებზე.

ლარი	შენიშვნა	2015	2014
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
(ზარალი)/მოგება წლის განმავლობაში დაბეგვრამდე		(1,783,348)	1,232,280
კორექტირებები::			
ცვეთა და ამორტიზაციაში	10	76,503	58,586
წმინდა ფინანსურ ხარჯში	7	1,880,906	1,696,638
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის და ანარიცხების ცვლილებამდე		**174,061**	**2,987,504**
ცვლილება მარაგებში		(1,647)	1,529
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(17,430,886)	(4,020,528)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		18,323,171	(1,637,462)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) ფულადი სახსრები მოგების გადასახადის გადახდამდე		**1,064,699**	**(2,668,957)**
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(2,500)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		**1,064,699**	**(2,671,457)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
მიღებული პროცენტი		636,871	1,131,717
ძირითადი საშუალებების შეძენა	10	(36,963)	(17,633)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(41,814)	(14,834)
სხვა ინვესტიციების შეძენა		-	(1,733)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		**558,094**	**1,097,517**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდები		20,000	-
წმინდა ფულადი სასხრები საფინანსო საქმიანობიდან		**(20,000)**	**-**
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა		**1,602,793**	**(1,573,940)**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით		12,297,188	13,871,128
ვალუტის კურსის ცვალებადობის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		480,371	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	13	**14,380,352**	**12,297,188**

ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 9-36 გვერდებზე.

1. ზოგადი ინფორმაცია

(a) ორგანიზაცია და საქმიანობა

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი" (შემდგომში „კომპანია") დაარსდა საქართველოში 2006 წლის 1 სექტემბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 10 აგვისტოს ბრძანების საფუძველზე, 2011 წლის 18 აგვისტოს მოხდა შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის" სააქციო საზოგადოებად გარდაქმნა.

კომპანიის იურიდიული მისამართია: ბარათაშვილის ქუჩა №2, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს საბალანსო ელექტროენერგიისა და გარანტირებული სიმძლავრის ყიდვა-გაყიდვას, ელექტროენერგიის იმპორტ/ექსპორტს და საქართველოში ელექტროენერგიის შესყიდვა-რეალიზაციის პროცესების ხელშეწყობას.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, 2010 წლის სექტემბრიდან ქვეყნის ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობას, უსაფრთხო და საიმედო ფუნქციონირებას ემსახურება გარანტირებული სიმძლავრე. გარანტირებული სიმძლავრის წყაროს წარმოადგენს თბოელექტროსადგურები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებს კანონმდებლობით განსაზღვრულ ტექნიკურ პარამეტრებს. თერმული გარანტირებული სიმძლავრის მინიმალური რაოდენობა თითოეული წყაროსთვის და პერიოდისთვის განისაზღვრება საქართველოს მთავრობის მიერ. „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესები"-ს მიხედვით, გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობა ხორციელდება მხოლოდ კომპანიის მიერ. 2014 წლის 31 აგვისტომდე ზემოთხსენებულ ოპერაციებში კომპანია მოქმედებდა როგორც აგენტი და არა როგორც პირდაპირი გამყიდველი. მას შემდეგ, რაც 2014 წლის 1 სექტემბერს კანონმდებლობაში ცვლილებები შევიდა, კომპანია მოქმედებს გარანტირებული სიმძლავრის ოპერაციებში როგორც პირდაპირი გამყიდველი.

კომპანიის ძირითადი ფუნქციები განსაზღვრულია „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონითა და საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით".

კომპანიის დამფუძნებელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე საქართველოს მთავრობაა. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია სს „საპარტნიორო ფონდი", რომელიც მთლიანად სახელმწიფო მფლობელობაშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები იხილეთ მე-18 შენიშვნაში.

(b) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნის ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზრები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რომლებიც სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, სირთულეებს უქმნის საქართველოს ტერიტორიაზე მომუშავე კომპანიებს. მოცემული ფინანსური ანგარიშგება ასახავს კომპანიის ოპერაციებსა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე საქართველოს ბიზნეს გარემოს ზეგავლენის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

2. მომზადების საფუძველი

(a) შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს") სრულ შესაბამისობაში.

(b) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა ძირითადი საშუალებების ღირებულებებისა, რომელთა რეალური ღირებულებაც განისაზღვრება რეგულარულად.

(c) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რომელიც კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს. შესაბამისად, მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ლარში („ლარი").

(d) შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-თან შესაბამისობაში, რაც მოითხოვს ხელმძღვანელობისაგან ისეთ მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაზე და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებებისა და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

შეფასებაში მნიშვნელოვანი გაურკვევლობისა და სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაში კრიტიკული მსჯელობის შესახებ ინფორმაცია მოცემულია შენიშვნაში 12, რომელიც უკავშირდება საბალანსო ელექტროენერგიისა და გარანტირებული სიმძლავრის გაყიდვიდან შემოსავლებსა და მათ ღირებულებას.

რეალური ღირებულების შეფასება

კომპანია ადგენს რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით, რაც ასახავს გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას შეფასების გაკეთებისას:

- *დონე 1*: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) აქტიურ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის.
- *დონე 2*: მონაცემები გარდა პირველ დონეში შემავალი მონაცემებისა, რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული).
- *დონე 3*: მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეყრდნობა დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივისა ან ვალდებულების რეალური ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლოა რეალური ღირებულების სხვადასხვა დონეებში, რეალური ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, რეალური ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

დამატებითი ინფორმაცია რეალური ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ მოცემულია შენიშვნაში 17 - რეალური ღირებულება და რისკის მართვა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ მოყვანილი სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად გამოიყენება კომპანიის მიერ, მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

(a) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია კომპანიის მოქმედ ფულად ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ხდება ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით, კომპანიის მოქმედ ვალუტაში. უცხოური ვალუტით მიღებული მოგება ან ზარალი ფულად მუხლებზე, წარმოადგენს პერიოდის დასაწყისში არსებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული მოქმედი ვალუტის ამორტიზებული ღირებულებისა

და პერიოდის ბოლოს არსებული შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზებული ღირებულების სხვაობას.

არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლის რეალური ღირებულება უცხოურ ვალუტაშია შეფასებული, გადაყვანილია მოქმედ ვალუტაში რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღისათვის არსებული შესაბამისი კურსით. არაფულადი აქტივები, რომლის ისტორიული ღირებულება უცხოურ ვალუტაშია შეფასებული, გადაყვანილია ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის არსებული შესაბამისი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალში, გარდა გასაყიდად გამიზნული წილობრივი ინსტრუმენტისა, რომლის შესაბამისი საკურსო სხვაობა აღიარდება სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(b) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს: სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს.

მოთხოვნებისა და დეპოზიტების თავდაპირველი აღიარება ხდება კომპანიის მიერ მათი წარმოქმნის თარიღის მიხედვით. ყველა სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივების საწყისი აღიარება ხდება გარიგების თარიღით, როდესაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის ხელშეკრულების მხარე.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმომდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. ფინანსური აქტივის ან ვალდებულების გადაცემიდან წარმოშობილი ნებისმიერი სარგებელი/ვალდებულება კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკე აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გაქვითვა და ნეტო პრეზენტაცია ხდება, მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა კომპანიას გააჩნია აღნიშნული გაქვითვის სამართლებრივი საფუძველი და განზრახული აქვს მოახდინოს ნეტო ანგარიშსწორება ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

კომპანია არაწარმოებული ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას ახდენს სესხებისა და მოთხოვნების კატეგორიაში.

სესხები და მოთხოვნები

გაცემული სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს ფინანსურ აქტივებს, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლის კოტირება აქტიურ ბაზარზე არ ხდება. მსგავსი აქტივები თავდაპირველად აღიარდება, როგორც რეალურ ღირებულებას დამატებული მასთან პირდაპირ დაკავშირებული ნებისმიერი ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ მისაღები სესხები და მოთხოვნები იზომება

ამორტიზირებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გამოკლებული ნებისმიერი გაუფასურებით გამოწვეული ზარალი.

სესხები და მოთხოვნების კატეგორია მოიცავს ფინანსური აქტივების შემდეგ კლასებს: სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს შენიშვნის 13 შესაბამისად და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს, მე-14 შენიშვნის შესაბამისად.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულად და საბანკო ნაშთებს შეძენიდან სამთვიანი ან ნაკლები გადახდის ვადით.

(ii) არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები

კომპანია თავდაპირველად აღიარებს გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებს მათი წარმოშობის დღეს. ყველა სხვა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება ვაჭრობის დღეს, როდესაც კომპანია ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე ხდება.

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები შესრულებული, გაუქმებული ან ამოწურულია.

კომპანია არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას ახდენს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიის მიხედვით. მსგავსი ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება, როგორც რეალურ ღირებულებას გამოკლებული მასთან პირდაპირ დაკავშირებული ნებისმიერი ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, მისაღები ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

(c) საწესდებო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული დანახარჯები აღიარებულია როგორც კაპიტალიდან გამოქვითვა გადასახადების გათვალისწინებით.

(d) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

თავდაპირველად კომპანიის მიერ ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება თვითღირებულებით. შემდგომ ძირითადი საშუალებები ფასდება რეალური

ღირებულებით, გარე დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ პერიოდულ შეფასებაზე დაყრდნობით, გამოკლებული შემდგომი ცვეთა და გაუფასურება.

აქტივის თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებს. როდესაც ძირითადი საშუალების ცალკეულ მნიშვნელოვან ნაწილებს განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვთ, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც აღნიშნული აქტივის შემადგენელი კომპონენტები.

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები. გადაფასებული აქტივების გაყიდვის შემთხვევაში, ყველა დაკავშირებული თანხა რომელიც გათვალისწინებულია გადაფასების რეზერვში როგორც გადაფასების ზედმეტობა, გადადის გაუნაწილებელ მოგებაში.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ღირებულება აისახება ერთეულის საბალანსო ღირებულებაზე, თუ იგი უზრუნველყოფს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. მოხსნილი ნაწილის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება-ზარალში.

(iii) გადაფასება

გადაფასების შედეგად ძირითადი საშუალებების ღირებულების ზრდა აისახება პირდაპირ გადაფასების რეზერვში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის აკომპენსირებს წინა პერიოდში გადაფასების ზარალს. ამ შემთხვევაში ის აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. გადაფასების შედეგად ძირითადი საშუალებების ღირებულების შემცირება აისახება პირდაპირ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის აკომპენსირებს წინა პერიოდში გადაფასების რეზერვს. ამ შემთხვევაში ის აღიარდება პირდაპირ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(iv) ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზაობის დღიდან, რაც შეეხება კომპანიის მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენების მზაობის დღიდან. ცვეთა დაანგარიშდება აქტივის ღირებულებაზე (შემცირებული აქტივის ნარჩენი ღირებულებით) დაყრდნობით.

ცვეთა აისახება მოგება-ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში,

ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

- ავტომობილები 5 წელი;
- აპარატურა და მოწყობილობები 4-5 წელი;
- კომპიუტერი და ტექნიკური აღჭურვილობა 4-5 წელი.

ყოველი ფინანსური წლის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და, საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

(e) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები ყოველი ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის ფასდება იმის გათვალისწინებით, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი ფასდება ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება, რომ აქტივი არის გაუფასურებული. ფინანსური აქტივი გაუფასურებულად ითვლება, თუ ობიექტური მტკიცებულება მიუთითებს, რომ აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ მოხდა ისეთი მოვლენები, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია აქტივიდან მოსალოდნელ იმ ფულად ნაკადებზე, რომელთა საიმედოდ შეფასებაც შესაძლებელია.

ფინანსური აქტივების (წილობრივი ფასიანი ქაღალდების ჩათვლით) გაუფასურების შესაძლო ობიექტური მტკიცებულებებია: მოვალის მხრიდან ვადაგადაცილება ან საერთოდ უარის თქმა ვალის დაფარვაზე, კომპანიის მხრიდან ვადადამდგარი მოთხოვნების იძულებითი რესტრუქტურიზაცია, დებიტორის ან ფასიანი ქაღალდების გამომშვების გაკოტრების საფრთხის ალბათობა, ეკონომიკური ვითარება, რომელიც დაკავშირებულია ფასიანი ქაღალდების აქტიური ბაზრის გაკოტრებასთან ან გაქრობასთან. დამატებით, სააქციო კაპიტალში ინვესტიციის შემთხვევაში, რეალური ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი შემცირება თვითღირებულებასთან მიმართებაში არის გაუფასურების ობიექტური საფუძველი.

სესხები და მოთხოვნები

კომპანია სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურების მტკიცებულებას განიხილავს როგორც კონკრეტული აქტივის, ასევე კოლექტიურ დონეზე. ყველა ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე სესხები და მოთხოვნები მოწმდება სპეციფიკური გაუფასურების დადგენის კუთხით. ყველა მნიშვნელოვანი სესხი და მოთხოვნა, რომელიც ინდივიდუალურად არ გაუფასურებულა, ექვემდებარება კოლექტიური გაუფასურების ანალიზს.

(ii) არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგებისა და გადავადებული საგადასახადო აქტივების გარდა) განიხილება ყოველი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება. არამატერიალური აქტივებისთვის, რომლებსაც არ აქვთ განსაზღვრული მომსახურების ვადა ან არ არიან მზად სარგებლობისთვის, ანაზღაურებადი ღირებულება ფასდება ყოველ წელს ერთსა და იმავე დროს. გაუფასურების ზარალი აღიარდება, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე მისი ანაზღაურებადი ღირებულება.

აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება (გადასახადების გადახდამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით) ასახავს ფულის დროში ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებას და ამ აქტივებისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომელთა ინდივიდუალური შეფასება ვერ ხერხდება, ერთიანდება მცირე აქტივთა ჯგუფებში. ეს ჯგუფები მუდმივი გამოყენების პირობებში, უზრუნველყოფენ ფულადი ნაკადების ისეთ შემოდინებას, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია სხვა აქტივების ან აქტივთა ჯგუფის მიერ წარმოქმნილი ფულადი ნაკადებისგან. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალში.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუფასურების ზარალის შემცირების ან აღმოფხვრის რაიმე ნიშნის გამოსავლენად ხელახლა ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. გაუფასურების ზარალი კორექტირდება, თუ ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებაში გამოყენებულ დაშვებებში ცვლილებას ჰქონდა ადგილი. გაუფასურების ზარალი კორექტირდება მხოლოდ იმ ზღვრამდე, სანამ აქტივის საბალანსო ღირებულება არ მიაღწევს იმ ღირებულებას, ცვეთის და ამორტიზაციის გათვალისწინებით, რაც ექნებოდა აქტივს, გაუფასურება რომ არ მომხდარიყო.

(f) პერსონალის მოკლევადიანი სარგებელი

პერსონალის მოკლევადიანი სარგებლის ვალდებულებები იზომება არადისკონტირებული თანხით და აღიარდება ხარჯად მომსახურების გაწევისთანავე. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმით და იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს მოცემულ მომენტში აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, გადაიხადოს მომსახურე პერსონალის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების საფასური და ეს ვალდებულება შეიძლება საიმედოდ იქნას შეფასებული.

(g) შემოსავლები

(i) ელექტროენერგიის რეალიზაცია

ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში ელექტროენერგიის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი, მათ შორის ელექტროენერგიის ექსპორტიდან, განისაზღვრება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალურ ღირებულებით, გამოკლებული დაბრუნებები, სავაჭრო შეღავათები და მოცულობის ფასდაკლებები. შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც საიმედო მტკიცებულება არსებობს, როგორც წესი გაყიდვის ხელშეკრულების სახით, რომლის მიხედვითაც მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრების უფლება გადაეცა მომხმარებელს, ანაზღაურების მიღება მოსალოდნელია, დაკავშირებული ხარჯები და ელექტროენერგიის მოსალოდნელი დაბრუნებების წინასწარმეტყველება შესაძლებელია საიმედოდ, არ არსებობს განგრძობითი მენეჯერული ჩარევა გაყიდულ ელექტროენერგიასთან და შესაძლებელია შემოსავლის თანხის საიმედოდ დადგენა. თუ მოსალოდნელია ფასდათმობა, რომლის ღირებულების საიმედო განსაზღვრა შესაძლებელია, მაშინ ასეთი ფასდათმობა აღიარებულ უნდა იქნას შემოსავლის შემცირებით მაშინ, როცა შემოსავალი აღიარდება.

რისკებისა და სარგებლის გადაცემის დრო იცვლება ინდივიდუალურ რეალიზაციის შეთანხმებებში ჩადებული ვადების მიხედვით. საბალანსო ელექტროენერგიის რეალიზაციისას, რისკებისა და სარგებლის გადაცემა ხდება მაშინ, როდესაც ელექტროენერგია მიეწოდება ელექტროსისტემის იმ წერტილამდე, საიდანაც ნაწილდება კლიენტზე ელექტრო სადენების მეშვეობით და ელექტროენერგია ითვლება მიღებულად.

2014 წლის 1 სექტემბრამდე გარანტირებული სიმძლავრის შესაძენად ოპერაციის ფარგლებში კომპანია მოქმედებდა როგორც აგენტი და არა როგორც პრინციპალი. 2014 წლის სექტემბრიდან შესაბამის კანონმდებლობაში ცვლილებებიდან გამომდინარე, კომპანია მოქმედებს გარანტირებული სიმძლავრის შეძენისა და რეალიზაციის ოპერაციაში როგორც პრინციპალი და შესაბამისად, აღიარებს შემოსავალს და რეალიზაციის შესაბამის ხარჯს. კომპანია არ რიცხავს საკომისიოს გარანტირებული სიმძლავრის შესყიდვასა და რეალიზაციაზე.

(ii) მომსახურება

გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც ოპერაციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შედინება მოსალოდნელია კომპანიაში და შესაძლებელია შემოსავლის თანხის საიმედოდ დადგენა.

(h) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ფინანსური შემოსავალი მოიცავს ინვესტიციებიდან მიღებულ საპროცენტო შემოსავლებს. საპროცენტო შემოსავლები აღიარდება მოგება-ზარალში დარიცხვისა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდების გამოყენებით.

უცხოური ვალუტის საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი აისახება ნეტო საფუძველზე როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი და დამოკიდებულია იმაზე, არის თუ არა უცხოური ვალუტის მოძრაობები წმინდა მოგების ან წმინდა ზარალის პოზიციაში.

(i) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მიმდინარე და გადავადებული გადასახადები აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში გარდა იმ ნაწილისა, რომელიც მიეკუთვნება ბიზნეს გაერთიანებებს, ან ისეთ მუხლებს, რომელიც აღიარდება პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, აგრეთვე, წინა წლის საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი დაზუსტება. მიმდინარე გადასახადი აგრეთვე მოიცავს დივიდენდების გამოცხადებასთან დაკავშირებულ გადასახადს.

გადავადებული გადასახადი აღიარებულია, როგორც დროებითი სხვაობა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისათვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და საგადასახადო მიზნებისათვის გამოყენებულ ღირებულებას შორის. გადავადებული გადასახადი არ აღიარდება იმ შემთხვევაში, როცა აქტივის ან ვალდებულების პირველადი აღიარება არ წარმოადგენს ბიზნეს გარიგებას და გავლენას არ ახდენს სააღრიცხვო და საგადასახადო მოგება ან ზარალზე.

გადავადებული გადასახადისა და ვალდებულებების შეფასება ასახავს საგადასახადო შედეგებს, რასაც კომპანია მოელის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა აანაზღაუროს ან დაფაროს თავისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება.

გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების შეფასება ხდება საგადასახადო განაკვეთის მიხედვით, რომელიც, სავარაუდოდ, დროებითი სხვაობების მიმართ გამოიყენება მათი ცვლილებისას ანგარიშგების თარიღისთვის მიღებული ან არსებითად მიღებული კანონების საფუძველზე.

მიმდინარე და გადავადებული გადასახადების განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს საგადასახადო მდგომარეობის განუსაზღვრელობას, ასევე, რამდენად მოსალოდნელია დამატებითი გადასახადების, ჯარიმებისა და დაგვიანებული პროცენტების გადახდა. კომპანიის რწმენით მისი საგადასახადო დარიცხვები ადეკვატურია ყველა ღია საგადასახადო წლისათვის ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა საგადასახადო კოდექსის ინტერპრეტაცია და წინა წლების გამოცდილება. ზემოთაღნიშნული განსაზღვრება დამყარებულია რიგ დაშვებებსა და შეფასებებზე, ასევე მომავალ მოვლენებთან დაკავშირებულ მსჯელობებზე. შესაძლებელია გახდეს ცნობილი ისეთი ახალი ინფორმაცია, რომლის შედეგადაც მოხდება არსებული საგადასახადო ვალდებულებების ადეკვატურობის შესახებ მსჯელობების შეცვლა; საგადასახადო ვალდებულებების ამგვარი ცვლილებები

გავლენას მოახდეს საგადასახადო ხარჯზე იმ პერიოდში, როდესაც გაკეთდება ამგვარი განსაზღვრება.

გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების ერთმანეთთან ურთიერთგადაფარვა ხდება, თუ არსებობს ამის სამართლებრივი საფუძველი და თუ ისინი დაკისრებულია ერთსა და იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ ერთსა და იმავე სუბიექტზე, თუმცა შესაძლებელია აღნიშნული მიდგომის გამოყენება სხვადასხვა სუბიექტების მიმართაც, თუ ისინი ანგარიშსწორებას აპირებენ ურთიერთგადაფარული თანხის ოდენობით ან საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ანგარიშსწორება მოხდება ერთდროულად.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, საგადასახადო შეღავათის და გამოქვითვადი დროებითი განსხვავებებისთვის იმ ოდენობით, რისი გამოყენებაც შესაძლებელი გახდება მომავალში მიღებული დასაბეგრი მოგების ხარჯის საპირისპიროდ. გადავადებული საგადასახადო აქტივი განიხილება (ან გადაისინჯება) ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ყოველი თარიღისათვის და მცირდება იმ დონემდე, სანამ აღნიშნული საგადასახადო სარგებლის გამოყენება არის შესაძლებელი.

4. ახალი სტანდარტები და ახსნა-განმარტებები, რომლებიც ჯერ არ არის დანერგილი

არსებობს ახალი სტანდარტები, შესწორებები სტანდარტებში და ინტერპრეტაციები, რომლებიც 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯერ არ იყო შესული ძალაში და არ გამოყენებულა წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ქვემოთ მოცემულია ის ცვლილებები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე. კომპანია გეგმავს ქვემოთ მოცემული სტანდარტების ათვისებას მათი ძალაში შესვლისთანავე.

ახალი ან შეცვლილი სტანდარტი	მოთხოვნების მოკლე მიმოხილვა	შესაძლო გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე
ფასს 9 *ფინანსური ინსტრუმენტები*	2014 წლის ივლისს გამოქვეყნებული ფასს 9 ცვლის არსებულ მეთოდურ მითითებებს ბასს 39 *ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება*. ფასს 9 მოიცავს განახლებულ მეთოდურ მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციაზე და შეფასებაზე, მათ შორის, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ახალი მოდელი ფინანსური აქტივების გაუფასურების გამოსაანგარიშებლად და ჰეჯირების აღრიცხვის ახალი ზოგადი მოთხოვნები. აღნიშნული სტანდარტი ასევე ძალაში ტოვებს ბასს 39-იდან მეთოდურ მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების აღიარებაზე და აღიარების შეწყვეტაზე. ფასს 9 მოქმედია წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან. ნებადართულია მისი დროზე ადრე დანერგვა.	კომპანია აფასებს ფასს 9-ის გამოყენების პოტენციურ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.
ფასს 15 *შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან*	ფასს 15 ადგენს ერთიან ჩარჩოს იმის განსაზღვრელად თუ რა ოდენობის შემოსავალი იყო აღიარებული და როდის ჰქონდა აღნიშნულს ადგილი. სტანდარტი ცვლის არსებულ მეთოდურ მითითებებს შემოსავლების აღიარების თაობაზე, მათ შორის, ბასს 18 *შემოსავალი*, ბასს 11 *სამშენებლო ხელშეკრულებები* და ფაისკ 13 *კლიენტების ლოიალურობის პროგრამები*. ახალი სტანდარტის ძირითადი პრინციპი წარმოადგენს იმას, რომ ორგანიზაცია ახდენს შემოსავლების აღიარებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემის ასახვის მიზნით, იმ ოდენობით ანაზღაურებით, რომელსაც ორგანიზაცია მოელის ხსენებული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ. ახალი სტანდარტი აისახება შემოსავლების შესახებ ინფორმაციაზე, იძლევა სახელმძღვანელო ინფორმაციას ტრანზაქციების შესახებ, რომლებიც წინასწარ არ იქნა სრულყოფილად მიმართებული და ის აუმჯობესებს მრავალ-ელემენტიან გარიგებებთან დაკავშირებულ გაიდლაინებს. ფასს 15 მოქმედია 2018 წლის 1 იანვარს ან მისი შემდგომი წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ნებადართულია მისი დროზე ადრე დანერგვა.	კომპანია აფასებს ფასს 15-ის გამოყენების პოტენციურ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ფასს-ში შეტანილი სხვადასხვა შესწორებები მოცემულია თითოეული სტანდარტის საფუძველზე. ყველა ცვლილება, რომელიც გამოიწვევს სააღრიცხვო ცვლილებას წარმოდგენის, აღიარების და შეფასების მხრივ, მოქმედი გახდება არაუადრეს 2016 წლის 1 იანვრისა. კომპანიას ჯერ არ ჩაუტარებია ანალიზი აღნიშნული ცვლილებების სავარაუდო ზეგავლენასთან დაკავშირებით კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციებზე.

5. შემოსავლები და რეალიზაციის ხარჯები

ლარი	2015	2014
შემოსავალი საბალანსო ელექტროენერგიის რეალიზაციიდან	150,944,664	115,146,913
შემოსავალი გარანტირებული სიმძლავრის მომსახურებიდან (შენიშვნა 13)	67,098,356	13,875,124
შემოსავალი ელექტროენერგიის ექსპორტიდან	7,849,935	8,377,917
შემოსავალი ფიქსირებული ტარიფის მქონე მომსახურებიდან	3,976,408	3,858,249
სულ შემოსავალი	**229,869,363**	**141,258,203**

ლარი	2015	2014
საბალანსო ელექტროენერგიის თვითღირებულება	(151,613,194)	(113,915,599)
შემოსავალი გარანტირებული სიმძლავრის მომსახურებიდან (შენიშვნა 13)	(67,098,356)	(13,875,124)
ელექტროენერგიის ექსპორტის თვითღირებულება	(7,130,084)	(6,983,658)
რეალიზებული ელექტროენერგიის/ გაწეული მომსახურების ჯამური თვითღირებულება	**(225,841,634)**	**(134,774,381)**

კომპანია ფლობს ბუნებრივ მონოპოლიას საბალანსო ელექტროენერგიის მიწოდებაზე. საბალანსო ელექტროენერგიის ფასწარმოქმნა დაფუძნებულია საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბრძანებაზე - „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესები".

კომპანიის სერვისის ფიქსირებული გადასახადი 0.00019 ლარი ყოველ კვ/სთ ოდენობით განსაზღვრულია საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით.

6. სხვა შემოსავალი

ლარი	2015	2014
შემოსავალი ჯარიმებიდან	196,605	158,152
სხვა	10,634	1,045
	207,239	**159,197**

7. წმინდა ფინანსური შემოსავალი

ლარი	2015	2014
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანგარიშებზე	636,871	1,131,717
ფინანსური შემოსავალი	**636,871**	**1,131,717**
უცხოურ ვალუტაზე საკურსო სხვაობით მიღებული წმინდა ზარალი	(2,517,777)	(2,828,355)
ფინანსური ხარჯები	**(2,517,777)**	**(2,828,355)**
წმინდა ფინანსური შემოსავალი აღიარებული მოგებაში ან ზარალში	**(1,880,906)**	**(1,696,638)**

8. ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2015	2014
ხელფასები	2,631,322	2,436,358
იჯარა	1,000,000	1,000,000
ცვეთა და ამორტიზაცია	76,503	58,586
წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯები	38,119	46,154
კომუნალური ხარჯები	37,935	36,334
საოფისე ხარჯები	26,313	24,035
საწვავი	16,601	15,885
ავტომობილების რემონტისა და მოვლის ხარჯები	11,789	13,399
დაზღვევა	10,041	9,535
ოფისის მარაგები	9,185	13,468
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	4,210	32
პროფესიონალური მომსახურებები	2,291	25,211
სხვა ხარჯები	151,807	35,104
	4,016,116	**3,714,101**

9. მოგების გადასახადის შეღავათი (ხარჯი)

კომპანიის მოგების გადასახადის განაკვეთი შეადგენს 15%-ს.

ლარი	შენიშვნა	2015	2014
მიმდინარე საგადასახადო ხარჯი			
მიმდინარე წელი		-	(16,513)
გადავადებული საგადასახადო შეღავათი			
დროებითი სხვაობების წარმოშობა და გაუქმება	12	14,513	3,577
ჯამური საგადასახადო (შეღავათი) ხარჯი		**14,513**	**(12,936)**

ეფექტური საგადასახადო განაკვეთის გაანგარიშება:

	2015		2014	
	ლარი	%	ლარი	%
წლის მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(1,783,348)	100	1,232,280	100
მოგების გადასახადი არსებული საგადასახადო განაკვეთით	(267,502)	15	184,842	15
წმინდა არადაბეგვრადი შემოსავალი	(112,029)	6	(171,906)	(14)
მიმდინარე წლის ზარალი, რომლისთვისაც არ აღიარდება გადავადებული საგადასახადო აქტივი	365,018	(20)	-	-
	(14,513)	**1**	**12,936**	**1**

10. ძირითადი საშუალებები

ლარი	ავტომობილები	აპარატურა და მოწყობილობები	კომპიუტერები და ტექნიკური მოწყობილობები	სულ
თვითღირებულება ან გადაფასებული ღირებულება				
ნაშთი 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	116,700	68,768	59,070	244,538
შესყიდვა	-	12,269	5,365	17,634
ნაშთი **2014** წლის **31** დეკემბრის მდგომარეობით	**116,700**	**81,037**	**64,435**	**262,172**
ნაშთი 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	116,700	81,037	64,435	262,172
შესყიდვა	-	12,990	23,973	36,963
გაყიდვები	(15,942)	-	-	(15,942)
ნაშთი **2015** წლის **31** დეკემბრის მდგომარეობით	**100,758**	**94,027**	**88,408**	**283,193**
ცვეთა და გაუფასურების ზარალი				
ნაშთი 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	(2,130)	(1,636)	(3,766)
ცვეთა წლის განმავლობაში	(23,340)	(16,921)	(15,330)	(55,591)
ნაშთი **2014** წლის **31** დეკემბრის მდგომარეობით	**(23,340)**	**(19,051)**	**(16,966)**	**(59,357)**
ნაშთი 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(23,340)	(19,051)	(16,966)	(59,357)
ცვეთა წლის განმავლობაში	(23,340)	(18,807)	(20,134)	(62,281)
გაყიდვები	11,232	-	-	11,232
ნაშთი **2015** წლის **31** დეკემბრის მდგომარეობით	**(35,448)**	**(37,858)**	**(37,100)**	**(110,406)**
საბალანსო ღირებულება				
2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	116,700	66,638	57,434	240,772
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	93,360	61,986	47,469	202,815
2015 წლის **31** დეკემბრის მდგომარეობით	**65,310**	**56,169**	**51,308**	**172,787**
საბალანსო ღირებულება გადაფასების გარეშე				
2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	79,720	54,219	52,531	186,470
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**56,380**	**49,567**	**42,566**	**148,513**
2015 წლის **31** დეკემბრის მდგომარეობით	**28,330**	**43,750**	**46,405**	**118,485**

ცვეთის ხარჯი სრულად შედის ადმინისტრაციულ ხარჯებში.

ძირითადი საშუალებების გადაფასება

2013 წელს მენეჯმენტმა დაიქირავა დამოუკიდებელი შემფასებლები, რათა მათ დამოუკიდებლად შეეფასებინათ ძირითადი საშუალებები 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრული იყო 240,772 ლარად. 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2014 წლის 31 დეკემბერი), კომპანიამ გაანალიზა თავისი ძირითადი საშუალებების საბაზრო ფასი და დაასკვნა, რომ ძირითადი საშუალების საბაზრო ფასი არსებითად არ განსხვავდებოდა საბალანსო ღირებულებისგან.

ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება თავდაპირველად განისაზღვრა ღია ბაზარზე მსგავსი ტიპის ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულების მეშვეობით.

11. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

(a) აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები მიეკუთვნება შემდეგს:

	აქტივები		ვალდებულებები		წმინდა	
ლარი	**2015**	**2014**	**2015**	**2014**	**2015**	**2014**
ძირითადი საშუალებები	-	-	(25,918)	(28,279)	(25,918)	(28,279)
არამატერიალური აქტივები	952	119	-	-	952	119
სავაჭრო მოთხოვნები	485,540	472,652	-	-	485,540	472,652
წმინდა საგადასახადო აქტივი / (ვალდებულებები)	**486,492**	**472,771**	**(25,918)**	**(28,279)**	**460,574**	**444,492**

(b) წლის განმავლობაში დროებითი სხვაობების მოძრაობა

'000 ლარი	**1** იანვარი **2015**	აღიარებული მოგება-ზარალში	აღიარებული სხვა სრულ შემოსავალში	**31** დეკემბერი **2014**
ძირითადი საშუალებები	(28,279)	792	1,569	(25,918)
არამატერიალური აქტივები	119	833	-	952
სავაჭრო მოთხოვნები	472,652	12,888	-	485,540
	444,492	**14,513**	**1,569**	**460,574**

'000 ლარი	1 იანვარი 2014	აღიარებული მოგება-ზარალში	აღიარებული სხვა სრულ შემოსავალში	31 დეკემბერი 2014
ძირითადი საშუალებები	(31,829)	3,550	-	(28,279)
არამატერიალური აქტივები	92	27	-	119
სავაჭრო მოთხოვნები	472,652	-	-	472,652
	440,915	**3,577**	**-**	**444,492**

დროებითი სხვაობა აქტივებისა და ვალდებულებების ნარჩენ ღირებულებას შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის და თანხა გამოყენებული დაბეგვრაში წარმოშობს წმინდა გადავადებულ საგადასახადო აქტივს 2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ეს გადავადებული აქტივები აღიარებულია ფინანსურ უწყისებში. მომავალი საგადასახადო სარგებელის გამოყენება მოხდება იმ შემთხვევაში, თუ იარსებებს მოგება, რომლის წინააღმდეგაც გადავადებული საგადასახადო აქტივი გამოყენებულ იქნება და კანონსა თუ რეგულაციაში არ არის მოსალოდნელი რაიმე ცვლილება, რომელიც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის უნარზე მოახდინოს საგადასახადო აქტივების რეალიზაცია.

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 365,018 ლარის ღირებულების გადავადებული საგადასახადო აქტივი არ იქნა აღიარებული საგადასახადო ზარალებთან მიმართებაში, რადგან არ არსებობს დამაჯერებელი მტკიცებულება იმისა, რომ ხელმისაწვდომი იქნება მომავალი დასაბეგრი მოგება, რომლიდან გამომდინარე სარგებლის გამოყენებასაც შესძლებს კომპანია. საგადასახადო ზარალს ვადა გასდის 2020 წელს.

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	2015	2014
საბალანსო ელექტროენერგია	22,758,979	17,493,208
გარანტირებული სიმძლავრე	16,236,533	3,571,402
წინასწარ გადახდილი ხარჯები	1,581,511	970,787
გაწეული მომსახურება	622,110	523,371
სხვა მოთხოვნები (ჯარიმები)	466,003	412,435
წინასწარ გადახდილი გადასახადები	121,136	18,010
	41,786,272	**22,989,213**

გარანტირებული სიმძლავრე

2014 წლის 31 აგვისტომდე გარანტირებული სიმძლავრის შესყიდვის ოპერაციაში და კვალიფიცირებულ საწარმოზე გაყიდვაში (განაწილების ლიცენზიანტი, პირდაპირი მომხმარებელი, ექსპორტიორი) კომპანია მოქმედებდა როგორც აგენტი. გაყიდული გარანტირებული ელექტროენერგიიდან კომპანია კვალიფიცირებული საწარმოებიდან აგროვებს თანხებს და ურიცხავს შემოსავალს წყაროს. 2014 წლის 1 სექტემბრიდან,

შესაბამის კანონმდებლობაში ცვლილებებიდან გამომდინარე, კომპანიამ უნდა აუნაზღაუროს წყაროებს, მიუხედავად იმისა მიიღო თუ არა მან სახსრები კვალიფიცირებული საწარმოებიდან.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ 2014 წლის სექტემბრიდან კომპანია უკვე არ მოქმედებს როგორც აგენტი და აღიარებს შემოსავალს და რეალიზაციის ხარჯს სრულად. ხელმძღვანელობის ამგვარი შეფასება ასევე ეფუძნება ფაქტებს, რომ „კომპანია" ვალდებულია შეისყიდოს საბალანსო ელექტროენერგია და გარანტირებული სიმძლავრე ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის და ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების შესაბამისად და რომ კომპანია თავის თავზე იღებს სრულ საკრედიტო რისკს შესყიდულ და გაყიდულ სიმძლავრეებთან მიმართებაში.

2014 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 აგვისტომდე პერიოდისთვის და 2015 წლის განმავლობაში მთლიანი ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები აგენტის ოპერაციებთან მიმართებაში მოყვანილია ქვემოთ:

ლარი	2015	2014 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 აგვისტომდე
გარანტირებული სიმძლავრის გაყიდვა	-	23,788,606
გარანტირებული სიმძლავრის შესყიდვა	-	(23,788,606)

კომპანიის საკრედიტო და სავალუტო რისკები მოყვანილია მე-16 შენიშვნაში.

13. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ლარი	**2015**	**2014**
საბანკო ნაშთები	14,380,352	12,297,188
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ცვლილებების ანგარიშგებაში	**14,380,352**	**12,297,188**

კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკი და ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე მგრძნობელობის ანალიზი წარმოდგენილია მე-16 შენიშვნაში.

14. კაპიტალი და რეზერვები

(a) საწესდებო კაპიტალი

	ჩვეულებრივი აქციები	
აქციათა რაოდენობა	**2015**	**2014**
ავტორიზებული აქციები	87,309	87,309
ნომინალური ღირებულება	ლარი 1	ლარი 1
გამოშვებული 31 დეკემბერს	**87,309**	**87,309**

ჩვეულებრივი აქციები

აქციონერები უფლებამოსილნი არიან მიიღონ დივიდენდები დროთა განმავლობაში მათი გამოცხადების შესაბამისად და გააჩნიათ თითო ხმის უფლება თითო აქციაზე აქციონერთა კრებაზე.

(b) დივიდენდები

გადასახდელი დივიდენდები შეზღუდულია კომპანიის მაქსიმალური გაუნაწილებელი მოგებით, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის ნორმატიული ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს-ის შესაბამისად.

2015 წელს კომპანიის მიერ გამოცხადებულმა და გაცემულმა დივიდენდმა შეადგინა 20,000 ლარი. (2014 წელს: ნული).

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	**2015**	**2014**
საბალანსო ელექტროენერგია	35,722,621	25,803,419
გარანტირებული სიმძლავრე (შენიშვნა 13)	15,902,433	3,395,341
მიღებული მომსახურება	354,987	301,911
საექსპორტო ელექტროენერგია	194,324	627
გადასახდელი დღგ	19,151	-
სხვა ვალდებულებები	24,572	22,608
	52,218,087	**29,523,906**

კომპანიის სავალუტო და ლიკვიდურობის რისკი სავაჭრო და სხვა მიმდინარე ვალდებულებებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მე-16 შენიშვნაში.

16. რეალური ღირებულება და რისკების მართვა

(a) რეალური ღირებულების შეფასება

რეალური ღირებულების შეფასების მიზანია ყველაზე უფრო ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ოპერაციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას. თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე რეალური ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას.

კომპანიამ განსაზღვრა რეალური ღირებულება შეფასების მეთოდის გამოყენებით. შეფასების მეთოდის მიზანია რეალური ფასის განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ოპერაციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის. შეფასების მეთოდი წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი სახსრების მოდელს.

კომპანიის შეფასების თანახმად, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან. რეალური ღირებულების შეფასებები რეალური ღირებულების იერარქიის მე-2 დონეს განეკუთვნება.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას კომპანიაზე ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის ზეგავლენის შესახებ, კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს მათი შეფასებისა და მართვისათვის, ასევე კომპანიის მენეჯმენტის მიერ კაპიტალის მართვას. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

(c) რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკის მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განავითაროს და მონიტორინგი გაუწიოს.
კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისათვის, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და კონტროლების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის

პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. კომპანიას მიზნად აქვს ტრენინგების, ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით ჩამოაყალიბოს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომელის მიხედვითაც ყველა თანამშრომელს ეცოდინება თავისი როლი და ვალდებულება.

(d) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელი - მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი კომპანიას ძირითადად წარმოეშვება სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნებიდან და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან.

(i) ***საკრედიტო რისკის გავლენა***

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მიმართ მაქსიმალურ მიდრეკილებას. საკრედიტო რისკის მიმართ მაქსიმალური მიდრეკილება ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის იყო:

	საბალანსო ღირებულება	
ლარი	**2015**	**2014**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	40,083,625	22,000,416
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14,380,352	12,297,188
	54,463,977	**34,297,604**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საკრედიტო რისკის მიმართ კომპანიის მიდრეკილებაზე ძირითადი გავლენა აქვს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალურ მახასიათებლებს. მიუხედავად ამისა, ხელმძღვანელობა ასევე განიხილავს კომპანიის მომხმარებელთა დემოგრაფიულ მონაცემებს, იმ ინდუსტრიების და ქვეყნის რისკების ჩათვლით, რომლებშიც მომხმარებლები მოღვაწეობენ, რადგან ამ ფაქტორებმა შეიძლება გავლენა იქონიონ საკრედიტო რისკზე. კომპანიის შემოსავლის დაახლოებით 68% (2014: 57%) წარმოადგენს გაყიდვის ოპერაციებს ერთ მომხმარებელთან - სს „ენერგო პრო ჯორჯია".

კომპანიის საექსპორტო გაყიდვები რუსეთსა და აზერბაიჯანში, მოიცავს 99,9% და 0,1%, შესაბამისად 2015 წლის მთლიანი საექსპორტო გაყიდვებიდან (2014: 99,9% და 0,1%, შესაბამისად).

კომპანიის ხელმძღვანელობამ შექმნა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ხორციელდება თითოეული მომხმარებლის გადახდისუნარიანობის ანალიზი, სანამ მოხდება კომპანიის სტანდარტული გადახდისა და მიწოდების პირობების შეთავაზება.

კომპანიის განხილვა/შემოწმება მოიცავს ინფორმაციის ანალიზს გარე რესურსებიდან, მათი არსებობის შემთხვევაში.

კომპანიის მომხმარებელთა 90%-ზე მეტს სამ წელზე მეტია საქმიანი ურთიერთობა აქვს კომპანიასთან. ამ პერიოდის განმავლობაში კი ზარალის შემთხვევები იშვიათია. მომხმარებლის საკრედიტო რისკის მონიტორინგისას მომხმარებლები დაჯგუფებულები არიან მათი საკრედიტო მახასიათებლების მიხედვით, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, ხანდაზმულობისა და ვადაგადაცილების ისტორიის, ასევე წინა პერიოდებში ფინანსური სირთულეების არსებობის მიხედვით. მისაღები ანგარიშები მიეკუთვნება კომპანიის საბითუმო მომხმარებლებს. კომპანია არ ითხოვს უზრუნველყოფას სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებით.

კომპანიას დადგენილი აქვს სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების რეზერვი, რაც წარმოადგენს ჯგუფის მიერ შეფასებულ შესაძლო დანაკარგს. ამ რეზერვის ძირითადი კომპონენტებია მნიშვნელოვან ინდივიდუალურ აღმოჩენასთან დაკავშირებული სპეციფიკური ზარალი და მსგავსი აქტივების ჯგუფებისათვის დადგენილი ზარალი, რომელიც დადგა, მაგრამ ჯერ არ არის გამოვლენილი. კოლექტიური ზარალის რეზერვი მსგავსი ფინანსური აქტივების გადახდის სტატისტიკაზე დაყრდნობით ისაზღვრება.

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნების 99%-ს საანგარიშო თარიღისთვის შეადგენს შიდა საბითუმო მომხმარებლები. 2015 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას ჰყავდა ოთხი შიდა საბითუმო მომხმარებელი (2014 წელს 3 მომხმარებელი) და ისინი წარმოადგენდნენ მთლიანი სავაჭრო მოთხოვნების 98%-ზე მეტს (2014 წელს 94%).

გაუფასურების ზარალი

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის სავაჭრო მოთხოვნების ხანდაზმულობის ანალიზი:

ლარი	მთლიანი თანხა 2015	გაუფასურება 2015	მთლიანი თანხა 2014	გაუფასურება 2014
ვადაგადაუცილებელი	37,694,027	-	21,052,123	-
ვადაგადაცილებული 0-30 დღე	1,675,629	-	137,439	-
ვადაგადაცილებული 31-120 დღე	42,857	-	12,973	-
ვადაგადაცილებული 121-150 დღე	-	-	11,603	-
ვადაგადაცილებული 151-365 დღე	36,825	-	262,907	-
ვადაგადაცილებული წელიწადზე მეტი ვადით	12,177	-	-	-
	39,461,515	**-**	**21,477,045**	**-**

ხელმძღვანელობა მიიჩნევს რომ მათი სავაჭრო ვადაგადაცილებული მოთხოვნების დაბრუნება შესაძლებელია ისტორიული გამოცდილებისა და კლიენტების საკრედიტო რეიტინგიდან გამომდინარე, შესაძლებლობის ფარგლებში.

(ii) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია ფლობდა 14,380,352 ლარის ღირებულების ფულად სახსრებს (2014 წელს: 12,297,188 ლარი), რაც წარმოადგენს ამ აქტივებზე მის მაქსიმალურ საკრედიტო მიდრეკილებას. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შენახულია საქართველოს წამყვან ბანკში, რომლის შეფასების რეიტინგი (Fitch-ის მიხედვით) არის B.

(e) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ კომპანია ვერ შესძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრების ან ფინანსური აქტივების საშუალებით. ლიკვიდურობის მართვის კომპანიისეული მიდგომა არის, რამდენადაც შესაძლებელია, გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულების გაჩენისას, კომპანიას ყოველთვის ჰქონდეს დავალიანების შესაბამისი ლიკვიდურობა, ორივე, ჩვეულ და სტრესულ მდგომარეობაში, მისი რეპუტაციის რისკის ქვეშ დაყენების თავიდან აცილებით და დანაკარგების წარმოშობის გარეშე.

კომპანია ფულად სახსრებს თავისი მომხმარებლისგან ყოველდღიურად იღებს. ეს ფაქტი უზრუნველყოფს, რომ კომპანიას მუდამ ჰქონდეს საკმარისი ფულადი სახსრები ფინანსური ვალდებულებების მინიმუმ 60 დღეში დასაფარად. ზემოთაღნიშნული გარემოება გამორიცხავს ისეთი ექსტრემალური გარემოებების პოტენციურ ზემოქმედებას, როგორიცაა ბუნებრივი კატასტროფა.

მომდევნო ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადიანობა, სავარაუდო საპროცენტო გადახდების ჩათვლითა და ურთიერთგამომქვითავი ხელშეკრულებების ზეგავლენის გამოკლებით:

31 დეკემბერი 2015 ლარი	საბალანსო ღირებულება	ხელშეკრულებით განსაზღვრული ფულადი ნაკადების მოძრაობა	2 თვეზე ნაკლები
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	52,218,087	52,218,087	52,218,087

31 დეკემბერი 2014 ლარი	საბალანსო ღირებულება	ხელშეკრულებით განსაზღვრული ფულადი ნაკადების მოძრაობა	2 თვეზე ნაკლები
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	29,523,906	29,523,906	29,523,906

არ არის მოსალოდნელი, რომ ხანდაზმულობის ანალიზში ნაჩვენები ფულადი ნაკადების მოძრაობა განხორციელდეს მნიშვნელოვნად ადრე ან მნიშვნელოვნად განსხვავებული თანხებით.

(f) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო კონვერტაციის განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

(i) სავალუტო რისკი

კომპანია დგას სავალუტო რისკის წინაშე იმ გაყიდვებსა და შესყიდვებზე, რომლებიც ლარისაგან განსხვავებულ ვალუტაშია დენომინირებული. ვალუტა, რომელშიც ეს ოპერაციები ძირითადად ხორციელდება, არის აშშ დოლარი და ევრო.

სავალუტო რისკის სამართავად კომპანიას არ აქვს რაიმე ფორმალური პოლიტიკა.

სავალუტო რისკის გავლენა

კომპანიის მიდრეკილება უცხოური ვალუტის რისკის მიმართ გახლავთ შემდეგი:

ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული **2015**	ევროში დენომინირებული **2015**	აშშ დოლარში დენომინირებული **2014**	ევროში დენომინირებული **2014**
სავაჭრო მოთხოვნები	10,082,935	-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	(16,688,834)	(450,186)	(21,970,507)	(577,343)
წმინდა მიდრეკილება	**(6,605,899)**	**(450,186)**	**(21,970,507)**	**(577,343)**

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდგომი მნიშვნელოვანი გაცვლის კურსები:

ლარში	საშუალო კურსი		გაცვლის კურსი ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის	
	2015	**2014**	**2015**	**2014**
აშშ დოლარი 1	2.2702	1.7659	2.3949	1.8636
ევრო 1	2.5204	2.3462	2.6169	2.2656

მგრძნობელობის ანალიზი

31 დეკემბრის მდგომარეობით ლარის დოლართან და ევროსთან მიმართებაში გამყარება (შესუსტება) შეამცირებს (გაზრდის) გადასახადების გადახდის შედეგად მიღებულ მოგება-ზარალს. აღნიშნული ანალიზი დამყარებულია უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობაზე, რომლის მოლოდინიც აქვს კომპანიას ფინანსური ანგარიშგების წარდგენის დღეს. ეს ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთი, რჩება მუდმივი.

ლარი	გამყარება	შესუსტება
31 დეკემბერი 2015		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	1,053,287	(1,053,287)
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	37,816	(37,816)
31 დეკემბერი 2014		
აშშ დოლარი (30%-იანი მოძრაობა)	5,602,479	(5,602,479)
ევრო (30%-იანი მოძრაობა)	147,222	(147,222)

(g) სააღრიცხვო კლასიფიკაციები და რეალური ღირებულება

ხელმძღვანელობა მიიჩნევს რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

სამართლიანი ღირებულების დადგენის საფუძვლები განხილულია მე-5 შენიშვნაში.

(h) კაპიტალის მართვა

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე, მას არ აქვს ფორმალური კაპიტალის მართვის პოლიტიკა. გარდა ამისა კომპანია არ ექვემდებარება გარე მხრიდან დაკისრებულ კაპიტალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

17. გაუთვალისწინებელი გარემოებები

(a) დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები საქართველოში

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მისთვის დამახასიათებელია სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება. საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან ექვსი წელია გასული.

ზემოთხსენებული საგადასახადო გარემო ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობის აზრით, იგი

ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. თუმცა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისაგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(b) ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები

კომპანიის მიერ გაფორმებული იქნა ხელშეკრულებები ელექტროენერგიის შესყიდვის შესახებ, რომელიც წარმოებული იქნება ახალ ჰიდროელექტრო, თერმოელექტრო და ქარის ელექტრო სადგურებში. მთლიანობაში, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმდინარეობს50 ელექტროსადგურის მშენებლობა და მათი დასრულება იგეგმება 2016-2018 წლებში. 2015 წელს დასრულდა ორი ელექტროსადგურის მშენებლობა. ხელმძღვანელობის აზრით, ამგვარი ხელშეკრულებები წარმოადგენს „აღსასრულებელ ხელშეკრულებებს" და არა ბასს 37-ის (ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები) შესაბამისად განსაზღვრულ დამავალდებულებელ ხელშეკრულებებს. ამსთანავე შეუძლებელია ობიექტურად შეფასდეს იმ სამომავლო შემოსავლებისა და ხარჯების რაოდენობა, რომელსაც მიიღებს და გასწევს კომპანია მშენებლობების დასრულების და ელექტროსადგურების მიერ ელექტროენერგიის გენერირების დაწყების შემდეგ.

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

(a) მაკონტროლებელ ორგანოებთან ურთიერთობა

კომპანიის დამფუძნებელი და ერთადერთი მაკონტროლებელი მხარე არის საქართველოს მთავრობა. 2011 წლის აპრილში კომპანიის აქციების 100%-იანი მართვის უფლება საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სააგენტომ გადასცა სს საპარტნიორო ფონდს.

სს საპარტნიორო ფონდი გასცემს საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას.

(b) ოპერაციები მმართველ რგოლთან

ხელმძღვანელობის ანაზღაურება

ხელმძღვანელობის მმართველმა რგოლმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც ჩართულია სახელფასო ხარჯებში (შენიშვნა 8):

ლარი	2015	2014
ხელფასები და ბონუსები	**263,600**	**308,643**

(c) ოპერაციები საქართველოს მთავრობასთან

სს საპარტნიორო ფონდი ფლობს კომპანიის აქციების 100%-ს (2014 წელს 100%) და აქვს მასზე სრული განკარგულება. ეს ფაქტი იწვევს მთავრობის მნიშვნელოვან ზეგავლენას კომპანიაზე. გარდა ამისა, კომპანია ყოველდღიურად ურთიერთობს ისეთ კომპანიებთან, რომლებიც კონტროლდება მთავრობის მიერ ან მთავრობის მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშაა მოქცეული. კომპანიამ აირჩია გამოეყენებინა „გათავისუფლება" ბასს 24 დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნებიდან, რაც უფლებას აძლევს არასრულად წარმოადგინოს დაკავშირებულ მხარეთა ის განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც ეხება ოპერაციებს სახელმწიფოსთან დაკავშირებულ საწარმოებთან.

ერთობლივად, მაგრამ არა ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ოპერაციები

კომპანია მოღვაწეობს ენერგეტიკის სფეროში, რომელშიც დომინირებს მთავრობის მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლირებადი კომპანიები.

ოპერაციები ხორციელდება ჩვეულებრივ ბიზნეს პირობებში, სადაც კომპანია არ განსხვავდება სხვა კომპანიებისგან, რომლებიც მთავრობასთან არ არიან დაკავშირებულნი. კომპანიამ პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის მიზნით ჩამოაყალიბა შესყიდვების პოლიტიკა და დამტკიცების პროცესები დამოუკიდებლად იმ ფაქტორისა, კონტრაგენტი მთავრობასთან დაკავშირებული იქნება თუ არა.

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ კომპანიის სხვა სახელმწიფოსთან დაკავშირებულ სუბიექტებთან მნიშვნელოვანი ოპერაციები შეადგენს სულ მცირე 25%-ს (2014: 24%) საბალანსო ელექტროენერგიისა და გარანტირებული სიმძლავრის გაყიდვიდან და 4.0%-4.5%-ს საბალანსო ელექტროენერგიისა და გარანტირებული სიმძლავრის შეძენიდან (2014: 4.0% და 4.5%-ს შორის).

19. საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები

(a) ცვლილებები საგადასახადო სისტემაში

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მესამე და საბოლოო მოსმენით მიიღო კანონი კორპორატიული დაბეგვრის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია „ესტონური მოდელის" სახელწოდებით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი უკვე შევიდა ძალაში და იმოქმედებს 2017 წლის 1 იანვრით დაწყებული საგადასახადო პერიოდებისთვის ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორიც არის სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან.

ამ კანონმდებლობის დანერგვას მნიშვნელოვანი გავლენა ექნება საქართველოში მოქმედი საწარმოების მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებზე.